ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 10

ქობილისი " 12 " ოქტომბერი " 2017 წ.

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით, შემდგომში " დამკვეთი" ერთის მხრივ,და ივანე ამირხანაშვილის სახით შემდგომში "შემსრულებელი" მეორეს მხრივ,ვსარგებლობთ რა საქართველოს კანონმდებლობის მიერ მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელსეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი ავალებს,შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს გაუწიოს დამკვეთს მომსახურება, კერძოდ , ჟურნალ „საგურამოს" მეორე ნომერს გაუწიოს რედაქტორობა CPV კოდი 79821100

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, დამკვეთს უნდა გაეწიოს დამკვეთის მიერ მითითებულ ვადებში, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

2.2 მომსახურების გაწევა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. აქტზე მხარეების ხელმოწერა ადასტურებს შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევასა და დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურების მიღებას.

3. ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 12 თვე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

3.2 მომსახურების გაწევის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

4. ღირებულება. ანგარიშსწორების წესი

4.1 მომსახურების ღირებულებაა 250 (ორასორმოცდაათი) ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი, ჟურნალის თითოეული ნომრისათვის.

4.2 მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის შემდეგ 10 დღის ვადაში.

4.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსრულებლის“ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

5.შემსრულებლის უფლება-მოვალეობები

5.1 შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში;

5.1.2. შემსრულებელს უფლება აქვს

5.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის სრული და დროული წარდგენა.

5. დამკვეთის უფლებები და მოვალეობები

5.1 დამკვეთი ვალდებულია:

5.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს, დაკვეთის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

5.12. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

6.2. დამკვეთს უფლება აქვს :

6.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.2.2.საჭიროების მიხედვით,შეამოწმოს პირადად,ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით მომსახურების ხარისხი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა:

7.1 შემსრულებლის პასუხისმგებლობა:

7.1.1 მომსახურების გაწევის, ხელშეკრულების ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.2. დამკვეთის პასუხისმგებლობა:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის გადაუხდელი თანხის 5%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.2.2. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. მომსახურების ხარისხი

8.1. მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

9.2. თუ ეს არ მოხერხდება,მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. ხელშეკრულების შეცვლა. ცალმხრივად შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება ხდება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

10.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია.

11. მხარეების მისამართები და ხელმოწერები

| დამკვეთი | შემსრულებელი |
| --- | --- |
| მცხეთის რაიონი | პ/ნ 01030041288 |
| სოფ.საგურამო | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| | ა/ა GE08BG0000000851497900 |
| ანდრო ბედუკაძე | ივანე ამირხანაშვილი |
| ------------------ | ------------------ |

მიღება – ჩაბარების აქტი №10

ქ.თბილისი "14" "II" 2017 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ, ივანე ამირხანაშვილი და მეორეს მხრივ სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ა.ბედუკაძე გადასტურებთ,რომ დაქირავებულმა გასწია მომსახურება ხელშეკრულების შესაბამისად 2017 წლის 12/II-დან 14/II-მდე თარიღით ჟურნალ "საგურამოს" მეორე ნომერს გაუწია რედაქტორობა.

აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულების შესაბამისად წარმოადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარის უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ

ჩააბარა ი ამირხანაშვილი

ჩაიბარა ა.ბედუკაძე